პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 აპრილი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 72 (9789) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მეგობრობის მატიანე








ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხთა მეგობრობა ფიზკულტურასა და სპორტში კადრების მომზადებასთანაცაა დაკავშირებული. 1931 წელს ბაქოში გაიხსნა ამიერკავკასიის სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, რომელიც სამივე მოძმე რესპუბლიკის ფიზკულტურული კადრების პირველ სამჭედლოდ იქცა.

სურათებზე, რომელიც ქართული სპორტის დიდების მუზეუმის თანამშრომლებმა მოგვაწოდეს, ასახულია ამიერკავკასიის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობა (ზევით) და აბრა, რომელზედაც წარწერაა აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ და ქართულ ენებზე. ქვედა სურათზე აღბეჭდილნი არიან ინსტიტუტის აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი სტუდენტები. ისინი 1931 წლის შემოდგომაზე აქტიურად ეხმარებოდნენ სოფლის მშრომელებს ბამბის კრეფაში.

## გამარჯვებით დაიწყო

**ბორჯომში,** სადაც მიმდინარეობს 21 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი, გამარჯვებით დაიწყო თბილისელმა ოსტატმა ლაშა ჯანჯღავამ. როგორც იცით, იგი I ტურში ისვენებდა. II ტურში კი მან მიხეილ ულიბინი დაამარცხა. ამ ტურის დანარჩენი ოთხი პარტია ყაიმით დამთავრდა.

2 ტურის შემდეგ 1,5-1,5 ქულა აქვთ გატა კამსკის, ალექსეი დრეევს და ვლადიმერ აკოფიანს. შემდეგ მოდიან: ლაშა ჯანჯღავა — 1 (1 შესაძლებლიდან), ალექსეი შიროვი, ალექსეი სოროკინი — 1-1 (2-2-დან).

**გუშინ ჯანჯღავამ სძლია კამსკის.**

## აგვიყოლიეთ, ჩემპიონებო!

Советский спорт

# რიონისპირა ქალაქში

### ძველი კვარტალების ახალი ტრადიცია

**ამბობენ,** ოდესელებს ვერაფრით გააკვირვებო. კი მაგრამ, მარტო მათ? განა ამ მხრივ რამეში ჩამოუვარდებიან მათ მრავლისმნახველი ქუთაისელები?

და მაინც, მსგავსი რამ აქ ჯერ არ უნახავთ. კლასიკური სტილით ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის თეიმურაზ აფხაზავას გუნდი საჭიდაო ხალიჩაზე იწვევდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, მსოფლიო უნივერსიადაში გამარჯვებულ ესტატე გოგლიჩიძის გუნდს.

ამ დღეს ფრთა გაშალა ორი ცნობილი ქუთაისელი სპორტსმენის კიდევ ერთმა ოცნებამ. მათ აიყოლიეს კვარტალის მეზობლები, რომელთაც ამზარმაცე წამოეპარათ. რა თქმა უნდა, მარტო ჩემპიონთა სურვილი საკმარისი არ აღმოჩნდა. მათ უნდა დაეთანხმებინათ სერიოზული მამაკაცები — ოჯახის თავები, სამაგიეროდ ბავშვები სიხარულისაგან ცას ეწივნენ. ისინი ხომ იმათ მხარდამხარ უნდა გამოსულიყვნენ, ვისი წარმატებებითაც მთელი ქალაქი ამაყობს.

სხვათა შორის, თეიმურაზმა და ესტატემ ბავშვობაში გაიცნეს ერთმანეთი. ისინი ჭიდაობამ გაიტაცა. ეს გატაცება და ჭიდაობის სიყვარული ორივეს ჩაუნერგა სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ილია ბობოხიძემ, რომელსაც ჭიდაობის ვარსკვლავთა მთელი პლეადა გაუზრდია.

მათ დღესაც კარგად ახსოვთ მწვრთნელის გაკვეთილები. მაგრამ ახლა თითოეულმა მათგანმა მდიდარი სპორტული გამოცდილება რომ შეიძინა, შეუძლიათ ხალხს, განსაკუთრებით პატარებს, ბევრი რამ გაუზიარონ. ასე გაჩნდა ამ მშვენიერი სპორტული ზეიმის ჩატარების იდეა. იგი დიდ, ნათელ სპორტულ დარბაზსა და ღია ცის ქვეშ გაიმართა.

ქუთაისელები ცნობილნი არიან თავიანთი ენამახვილობით, მაგრამ

იხ. გვ. 4 გვ.

## კახიანი წინ მიიწევს

**ბაქოში** მიმდინარე 16 და 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზეიმა გარდაბნელმა ოსტატმა ქეთევან კახიანმა. მან VI ტურში შავი ფიგურებით ლატვიელი მოჭადრაკე, ოსტატობის კანდიდატი გუნა სკუინია დაამარცხა.

თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა ნათია ჯანჯღავამ ძლიერად წარმართა შეხვედრა აზერბაიჯანელ ოსტატ ფირუზა ველიხანლისთან და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

თეა ლანჩავა და სოფიკო ტერელაძე ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ლევიტანი — სოკოლოვა — 1:0, დომარკაიტე — სოფიევა — 1:0, ერმოლინსკაია — სულთანოვა — 1:0.

ამრიგად, 6 ტურის შემდეგ 5,5 ქულით კვლავ ქეთევან კახიანი ლიდერობს. მას ქულით ჩამორჩება მარია ერმოლინსკაია (უკრაინა), შემდეგ მოდიან: ლაიმა დომარკაიტე (ლიტვა), აინურ სოფიევა (აზერბაიჯანი) — 4-4. სოფიკო ტერელაძეს, თეა ლანჩავასა და ნათია ჯანჯღავას 3-3 ქულა აქვთ.

## ავტორალის საქართველო [illegible]

**20-23 მაისს** ჩვენს რესპუბლიკაში გაიმართება საავტომობილო რალიში სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ასპარეზობა. ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრების მზადება-ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ცალკეული სამინისტროების, უწყებების, დოსააფის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელი მუშაკები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ვადაჭკორიამ.

## თასი — მესამედ!

**თბილისელმა** მოციგურავემ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა ანდრეი ტოროსიანმა საუკეთესოდ იასპარეზა ვოლგოგრადში საკავშირო თასის გათამაშებაში. ჩვენმა სპორტსმენმა, რომელიც ამჟამად მოსკოვში ვარჯიშობს, პირველი ადგილი მოიპოვა და ქართული სპორტის ისტორიაში ფიგურულ ციგურაობაში მესამედ დაეუფლა საპატიო ჯილდოს. შეგახსენებთ, რომ ადრე (1975 და 1976 წლებში) საკავშირო თასს ფლობდა თბილისელი მარინე ცერცვაძე.



## ელვა-ინფორმაცია

**ჩოგბურთელ** ქალთა იაპონიის ღია ჩემპიონატზე თბილისელმა ლეილა მესხმა პირველ წრეში დაამარცხა ამერიკელი ენ ჰენრიქსონი — 6:3, 6:4.

**სენ-ნაზერი** (საფრანგეთი). აქ მიმდინარე მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირის პირველ შეხვედრაში თბილისელმა ალბერტ კაზანჯიანმა (54 კგ) ქულებით მოუგო ტუნისელ ჰამუდ ჩარკუის.

# არდადეგები სპორტული გამოცდების დროა

### სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტსკოლების შეჯიბრებები კრივში, მხატვრულ ტანვარჯიშში, მაგიდის ჩოგბურთსა და წყალბურთში

**ნორჩი სპორტსმენების გამოსვლას მუდამ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს. ეს გასაგებიცაა — მათ ასპარეზობაში ხომ ნათლად ჩანს ჩვენი სპორტის ხვალინდელი დღე, მისი მომავალი. ნათლად ჩანს ისიც, ვინ როგორ ზრუნავს სპორტის ალმავლობისთვის, რეზერვისთვის...**

ამ მხრივ რესპუბლიკის განათლების სამინისტროში ბოლო ხანს გარკვეული სასიკეთო ძვრები შეინიშნება. ყოველ შემთხვევაში, შარშან გამართულ სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო სპორტულ თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სპორტის მრავალ სახეობაში წარმატებას მიაღწიეს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ საქართველოს ნორჩი სპორტსმენები შინ ასპარეზობდნენ, მასპინძლებს კი, როგორც იტყვიან, საკუთარი კედლებიც ეხმარებათ. ამიტომ დიდი ინტერესით ველოდით ჩვენი ქვეყნის განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტსკოლების საკავშირო პირველობების დაწყებას. სპორტის ოთხ სახეობაში შეჯიბრებები საგაზაფხულო არდადეგების დღეებში ჩატარდა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მეტ-ნაკლები წარმატებით იასპარეზეს. ახლა სწორედ ამის შესახებ გვექნება საუბარი.

**მოკრივეთა** შეჯიბრება ტაჯიკეთის ქალაქ ისფარაში გაიმართა. რინგი დაეთმოთ 1973 წელს დაბადებულ მოკრივეებს, რომლებიც 14 გუნდის წარმომადგენლები იყვნენ.

აქ ჩვენმა ჭაბუკებმა ორი პირველი, ამდენივე მეორე და ხუთი მესამე ადგილი დაიკავეს. თავი ყველაზე მეტად გამოიჩინეს ქუთაისელმა კობა ჯაილავამ (44 კგ) და თბილისელმა ერიკ გრიგორიანმა (60), რომლებიც საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.

მეორე პრიზიორები გახდნენ თბილისელი ზურაბ ტალიაშვილი (57) და გაგრელი სერგეი პოპოვი (63).

მესამე ადგილები წილად ხვდათ თბილისელ რომან ლუკიანოვს (46), ქუთაისელ გიორგი ბალდავაძეს (52) და ომარ ხარაბაძეს (70), აგრეთვე მესტიელ გიორგი გაბლიანსა (74) და ბათუმელ ირაკლი გაჩავას (85).

— ჩვენი გუნდის წევრებმა, თავიანთი ასაკის კვალობაზე, შესანიშნავი ტექნიკა და ტაქტიკა გამოავლინეს, — გვიამბობს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტსკოლის დირექტორი რევაზ მეგრელიშვილი. — განსაკუთრებით მოგვეწონა ჩვენი ბიჭების ლტოლვა გამარჯვებისკენ, მათი მონდომება, შეუპოვრობა. საბოლოოდ ჩვენმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. მეორე იყო უზბეკეთის კოლექტივი, უძლიერესის სახელი კი ყაზახეთის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. ჩვენს მოკრივეებს ამ შეჯიბრებისთვის ამზადებდნენ უფროსი მწვრთნელი დავით შიუკაშვილი, მწვრთნელი ვალერი ბორტნიკოვი და გუნდის უფროსი ჯემალ გოგიაშვილი. შეეძლოთ თუ

იხ. გვ. 2 გვ.

# არდადეგები სპორტული გამოცდების დროა

(დასასრული)

არა მათს აღსაზრდელებს გუნდურ პირველობაში უკეთესი ადგილის დაკავება? ალბათ შეეძლოთ, თუმცა, ამაზე უმჯობესია გუნდის უფროსმა მწვრთნელმა დავით შიუკაშვილმა თქვას.

— გვიხარია, რომ პრიზიორთა შორის საქართველოს სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენლები მოხვდნენ, — გვიამბობს დ. შიუკაშვილი. — ეს იმაზე მეტყველებს, რომ კრივის გეოგრაფია ფართოვდება. სამწუხაროდ, სხვა ქალაქების წარმომადგენლები საერთო საქმეს სერიოზულად არ მოეკიდნენ. მაგალითად, სოხუმიდან და ფოთიდან შეკრებაზე გამოძახებული არც სპორტსმენები, არც მწვრთნელები არ გამოცხადდნენ. მხოლოდ ნაკრების გამგზავრების წინ ჩამოვიდა სოხუმელი სპორტსმენი, რომელიც გუნდში ველარ მოხვდა. არადა, სოხუმისა და ფოთის წარმომადგენლებზეც დიდ იმედებს ვამყარებდით. აქვე ვიტყვი, რომ გაისად სპორტსკოლების აღსაზრდელთა მეორე საკავშირო თამაშებში მონაწილეობას მიიღებენ სწორედ იმ ასაკის მოკრივეები, რომლებიც ახლა ისფარაში გამოდიოდნენ. ამიტომ, ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ ამ თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად ჩვენი ნაკრების კანდიდატებს ერთად შევკრიბავთ.

* * *

**მხატვრული ტანვარჯიშის** წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს მოსკოვში, სადაც გამარჯვებისთვის 15 გუნდის წევრები იბრძოდნენ. როგორც საქართველოს განათლების სამინისტროს მხატვრული ტანვარჯიშის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტსკოლის დირექტორმა სოსო ბაქანიძემ გვითხრა, ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად სპორტდარბაზი ვერ იპოვეს. ამიტომ განათლების სამინისტროს... სააქტო დარბაზს მიაკითხეს. აქ მათ ხელი გაუმართეს, თუკი სააქტო დარბაზში ვარჯიშზე ხელის გამართვა შეიძლება ითქვას. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ნაკრებმა გუნდურ პირველობაში მეორე ადგილი დაიკავა, ჩემპიონები კი მასპინძლები გახდნენ.

უნდა ითქვას, რომ მსგავს შეჯიბრებებში საქართველოს ნაკრებს გუნდურ პირველობაში ასეთი წარმატებისთვის ჯერ არ მიუღწევია.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა პირად პირველობაშიც გამოიჩინეს თავი. მათ შორის საუკეთესოდ იასპარეზა ლიუდმილა სოფრომაძის მოწაფემ, რუსთაველმა ოლია ულერშპერგერმა, რომელიც სპორტის ოსტატის პროგრამით გამოდიოდა. ოლია მეორე იყო სახტუნელათი ვარჯიშში, ხოლო ბურთით, ბაფთითა და უსაგნოდ ასპარეზობაში მესამე ადგილები დაიკავა.

სპორტის ოსტატის პროგრამით შეჯიბრებაში სოფრომაძის კიდევ ერთმა აღსაზრდელმა, ასევე რუსთაველმა ელადა კოზმოვამ იყოჩაღა, რომელიც რგოლითა და გურზებით ვარჯიშში მესამე ადგილებზე გავიდა.

ნელი სალაძის მოწაფე, თბილისელი ბელა ქილიაევა, რომელიც სპორტის ოსტატის კანდიდატის პროგრამით ასპარეზობდა, მეორე იყო გურზებით ვარჯიშში, ხოლო ბაფთით — მესამე.

* * *

**მაგიდის ჩოგბურთელებმა**, მართალია, ბუხარაში მოასპარეზე 17 გუნდს შორის მეთორმეტე ადგილი დაიკავეს, მაგრამ...

— მრავალი წელია მაგიდის ჩოგბურთელებთან ვმუშაობ და, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი კარგი გუნდი ჯერ არ გვყოლია, — გვეუბნება გუნდის უფროსი უშანგი თეთრაშვილი. — სამწუხაროდ, რესპუბლიკური შეჯიბრება საკავშირო ასპარეზობამდე მხოლოდ ორი კვირით ადრე ჩატარდა და ჩვენი გუნდის შემადგენლობაც, ბუნებრივია, მოგვიანებით განისაზღვრა. ამასთან, საკავშირო შეჯიბრების დებულება სულ უკანასკნელ მომენტში, ბუხარაში გაფრენის წინ მივიღეთ. არადა, მანამდე ასპარეზობისთვის მხოლოდ სამ-სამ გოგონასა და ბიჭს ვამზადებდით, თურმე თადარიგი ხუთ-ხუთ სპორტსმენზე უნდა დაგვეჭირა. ერთი სიტყვით, ბუხარაში სახელდახელოდ ჩამოყალიბებული გუნდით გავემგზავრეთ. მიუხედავად ამისა, ჩვენმა სპორტსმენებმა ათეულებში დაიმკვიდრეს ადგილი. გუნდურ პირველობაში საბოლოოდ მათ, ისევე როგორც ტაჯიკეთის წარმომადგენლებმა, 24 ქულა მოაგროვეს, მაგრამ მეთერთმეტე ჩვენს კონკურენტებს მიეკუთვნათ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ წინა მსგავს შეჯიბრებასთან შედარებით გუნდურ პირველობაში ორი საფეხურით დავწინაურდით. შეჯიბრების შემდეგ ჩვენი გუნდის წევრები: სოხუმელი ალექსანდრე



საქართველოს მოკრივეთა გუნდი.

კილასონია, თბილისელები ერიკ ხაჩატუროვი და ზიზია კალანტრიოვა მიიწვიეს საკავშირო ნაკრებში, რომელიც ნორჩ მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის პირველობისთვის მოემზადება. ეს, თავისთავად, რა თქმა უნდა, სასიამოვნო ფაქტია. საინტერესოა, რომ ეს ასპარეზობა მიუნხენში გაიმართება, შეკრებები კი ჩვენთან, ქობულეთში, გაგრასა და ამბროლაურში ჩატარდება. ნაკრებთან ერთად, როგორც ჩანს, ივარჯიშებს ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ქუთაისელი მარინე მჟავიაც.

* * *

**წყალბურთში** გამარჯვების ერთ-ერთ პრეტენდენტად საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებიც ითვლებოდა. მართლაც, დუშანბეში, სადაც 1973 წელსა და შემდეგ დაბადებული სპორტსმენები გამოდიოდნენ, ჩვენმა წყალბურთელებმა წინასწარ თამაშებში, თავიანთ ქვეჯგუფში, დამაჯერებლად დაამარცხეს თურქმენეთის (13:6), ლიტვისა (13:3) და ბელორუსიის (8:6) გუნდები. ფინალში (აქ ისინი ბელორუსიელებთან ერთად გავიდნენ, ოღონდ საქართველოს ნაკრებს 2 ეგრეთ წოდებული ოქროს ქულა ჰქონდა), სადაც 8 გუნდი მოხვდა, საქართველოს ჭაბუკებმა კვლავ დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვეს, ამჯერად აზერბაიჯანის (10:2), რუსეთის ფედერაციის (9:1), მოსკოვის (14:6), მოლდავეთისა (6:4) და ყაზახეთის (9:7) გუნდებთან.

ბოლოს, გადამწყვეტ შეხვედრაში, ისინი ტაჯიკეთის გუნდის პირისპირ დადგნენ. გამარჯვებას ყველანი კვლავ ჩვენს ჭაბუკებს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ...

— შეხვედრის მეცამეტე წამზე რიცხობრივი უპირატესობა ჩვენი მეტოქის მხარეზე აღმოჩნდა, — გვიამბობს გუნდის უფროსი ვლადიმერ ბარნაბიშვილი. — მიუხედავად ამისა, ანგარიში ჩვენმა ბიჭებმა გახსნეს. სულ მალე, საქართველოს ნაკრების წევრი, გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ჩხარტიშვილი სარბიელიდან შეცვლის უფლების გარეშე გააძევეს და მეტოქემ რიცხობრივი უპირატესობა უმალ გამოიყენა. რა თქმა უნდა, როცა ჩვენს გუნდს მოთამაშე გამოაკლდა, ტრიბუნაზე მსხდომთ გუნება წაგვიხდა. ასეთ სიტუაციაში თითქოს თავად წყალბურთელებსაც გული უნდა გასტეხოდათ და ფარ-ხმალი დაეყარათ, მაგრამ მათ ბოლომდე ისე ვაჟკაცურად იბრძოლეს, რომ გამოცდილ, გამობრძმედილ სპორტსმენებსაც შეშურდებოდათ. ისინი ისე მედგრად იბრძოდნენ, მეტოქის რიცხობრივი უპირატესობა თამაშის ბოლომდე არ ჩანდა. მოწინააღმდეგეს თამაშში გარდატეხა ვერც მაშინ შეჰქონდა, როცა სარბიელზე ორით „ზედმეტი" წყალბურთელი ჰყავდა. თავად განსაჯეთ, — პირველი პერიოდი დამთავრდა ანგარიშით 3:3, მეორე — 4:4, მესამე — 6:6. თამაშის ბოლოს მასპინძლები მინიმალური ანგარიშით დაწინაურდნენ (8:7). ამ დროს ჩვენი ბიჭები სახიფათოდ გადავიდნენ შეტევაზე. როგორც იტყვიან, ისინი გოლს ამწიფებდნენ. ამას ყურადღებით, აუღელვებლად აკვირდებოდნენ, რადგან იერიშის დასაგვირგვინებლად დრო ჰყოფნიდათ. სამწუხაროდ, იმ იერიშს დაგვირგვინება აღარ ეწერა. საფინალო სასტვენმა ბრძოლას წერტილი დაუსვა. ისეთი გულმოკლული გუნდი, ჩვენი რომ იყო, ჯერ არ მინახავს. თანაც, ჩვენი ბიჭები ყველა მეტოქეზე უმცროსები იყვნენ.

ახლა გაგაცნობთ ჩვენს „ვერცხლის ბიჭებს", „ოქროს ბიჭების" სახელი უფრო რომ შეეფერებოდათ. ესენი არიან: ქუთაისელები პაატა იონანიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, სერგო კირიაკიდი, წყალტუბოელი რევაზ ჩომახიძე (ქუთაისში ვარჯიშობს), თბილისელები გია გოგუაძე, ზურაბ ალავიძე, ლევან მურვანიძე, ზაზა უკლება, მერაბ ჩიხრაძე, გია ფირანიშვილი, ავთანდილ მაღლაკელიძე, გია ბურდული და ვანო ლორთქიფანიძე. გუნდს ამზადებდნენ თბილისელი გურამ ნამგალაური და ქუთაისელი ევგენი გორგოძე.

* * *

ამ შეჯიბრებების შემდეგ გავესაუბრეთ საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსს მურთაზ მნათობიშვილს.

— ჩვენი გუნდების გამოსვლებით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვართ, — გვეუბნება მურთაზ მნათობიშვილი. — ასეთი კარგი დასაწყისი მოსწავლე სპორტსმენთა სხვა უფრო მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის იმედით აღგვავსებს. უნდა ითქვას, რომ წინათ მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებებზე ის სპორტსმენებიც გამოგვყავდა, რომლებიც სხვა სპორტსაზოგადოებებსა თუ უწყებებს ეკუთვნოდნენ, ახლა კი გუნდებში მხოლოდ ჩვენი, განათლების სამინისტროს აღსაზრდელები იყვნენ.

● **ჩვენი გუნდების ხელმძღვანელები საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, შეჯიბრების დებულებები უკანასკნელ მომენტში მივიღეთო.**

— რა თქმა უნდა, ცუდია, რომ დებულებების გამოგზავნამ დაიგვიანა, მაგრამ სხვა გუნდებიც ხომ ამ დღეში იყვნენ? მწვრთნელებს ყველა ასაკის სპორტსმენები საჭირო რაოდენობით უნდა ჰყავდეთ, ასპარეზობის წინ არ უნდა დაეწყოთ ძებნა.

● **როდის გაიმართება ჩვენი ქვეყნის ბავშვთა სპორტსკოლების საკავშირო პირველობების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები დანარჩენ სახეობებში?**

— საზაფხულო არდადეგების დღეებში. იმედია, ჩვენი ნორჩი სპორტსმენები იქაც ისევე წარმატებით გამოვლენ, როგორც უკვე გამართულ შეჯიბრებებში.

**ავთანდილ ჟუჟიშელი.**

**ხარვეზებზე — საჯაროდ!**

# უმადურები

**დღეს, თანამედროვე სპორტის განვითარების პირობებში გამარჯვება ძნელი, ძალზე ძნელია. ადამიანი თავისი შედეგების თუნდაც წამის მეასედით, სანტიმეტრითა თუ გრამით გაუმჯობესებისთვის ყოველდღიურად ორჯერად და სამჯერად ვარჯიშს მიმართავს. ეს ყველაფერი დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. მოითხოვს მკაცრ რეჟიმს, მრავალ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე ხელის აღებას და ლამის ასკეტურ ცხოვრებას.**

**დიახ, თუ გამარჯვების სიხარული და გულშემატკივრის პატივისცემა გინდა, ასე უნდა იცხოვრო.**

**და მაინც, ნეტავ ყუნწში რისთვის ძვრება სპორტსმენი?**

**სპორტი ერთისთვის თუ ჯანმრთელობისა და სიმხნევის წყაროა, მეორე სარბიელზე საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების დამტკიცების საშუალებას ხედავს.**

**არის ადამიანთა მესამე კატეგორიაც, რომელთათვისაც სპორტი მხოლოდ და მხოლოდ ტრამპლინია, კეთილდღეობის ტრამპლინი, მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად შეღავათს ითხოვენ, მერე კი... დღეს სწორედ ასეთ უმადურებზე გვექნება საუბარი.**

რა დასამალია, დღევანდელი სპორტსმენი თავისი მკაცრი დღის რეჟიმის გამო „მოცლილივით" დღედალამ წიგნებში თავჩარგული ვერ იქნება, მაგრამ მას უმაღლესი განათლებაც სწყურია. ბევრი სპორტსმენი, ცხადია, კარგად უთავსებს სპორტს და სწავლას, ცდილობს მერე და მერე დანაკარგი აანაზღაუროს და თავისი ცოდნითა თუ ერუდიციით კარგი სპეციალისტი გახდეს. დღეს მრავლად არიან ამა თუ იმ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, აკადემიკოსები, სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც თავის დროზე სპორტულ სარბიელზეც ფრიად გამორჩეულნი იყვნენ.

ბევრი სპორტსმენი, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შემდეგ, მეცადინეობა და ვარჯიში ერთმანეთს კარგად რომ შეუთავსონ, სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზეც გადაჰყავთ.

სამწუხაროდ, ზოგიერთი იმედს ვერ ამართლებს და ისინი ცოტანი როდი არიან. ასეთი ათლეტი, როგორიც კი თავს უმაღლესი სასწავლებლის კედლებში დაიგულებს, თანდათან ძველებური მონდომებით აღარ ვარჯიშობს, ზოგი კი საერთოდ სპორტს ზურგს აქცევს. არადა, უმაღლესი სასწავლებლები ყველაფერს აკეთებენ, რომ სპორტსმენებმა სპორტული ოსტატობაც აიმაღლონ, სასწავლებლის, რესპუბლიკის თუ ქვეყნის პრესტიჟი დაიცვან სპორტულ სარბიელზე და არც სწავლაში ჩამორჩნენ.

როგორი მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაში? როგორ ვარჯიშობენ ის სტუდენტი სპორტსმენები, რომლებსაც სწავლების ინდივიდუალური გრაფიკი აქვთ?

ეს საკითხი საქართველოს სპორტსახკომის სპორტულ-მეთოდურმა სამმართველომ სპორტსახკომის განყოფილებათა გამგეებისა და მთავარი მწვრთნელების დახმარებით შეისწავლა და ძალზე არასახარბიელო სურათი გამოკვეთა.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების იმ სტუდენტ სპორტსმენთაგან, რომლებიც სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე არიან, 80-ზე მეტმა ვარჯიშს მოუკლო, ნაწილმა კი საერთოდ მიატოვა.

ახლა ეს ვიკითხოთ — იქნებ ეს სპორტსმენები, თუ უკვე ყოფილი სპორტსმენები, რაკი ჩვეული მონდომებით აღარ ვარჯიშობენ ან სულაც აღარ ვარჯიშობენ, იქნებ მხოლოდ უმაღლეს განათლებას სწორავენ მთელ დროს? სამწუხაროდ, ამ სტუდენტთა ნაწილი, როგორც იტყვიან, სწავლით თავს არ იკლავს. ყველაზე შორს ყოფილი მძლეოსანი და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი გ. გლაზოვი წასულა, რომელსაც სპორტისთვისაც ზურგი შეუქცევია და სწავლისთვისაც.

ის 80-ზე მეტი ათლეტი სპორტის 20-ზე მეტი სახეობის წარმომადგენელია. მათგან ყველაზე მეტად მოფარიკავეები სცოდავენ. „მუშკეტერთაგან" ათი აღარ იმსახურებს, რომ სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე იყვნენ. ესენი არიან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები: ხ. მეგრელიშვილი, ი. აკოფოვა, კ. გვაჯავა, თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლები ლ. იოსებიძე, ხ. მამუკაშვილი, ი. სალუქვაძე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები გ. გოგისვანიძე, დ. სახვაძე და სხვები.

ამგვარად „გამორჩეულ" სპორტსმენთაგან ყველაზე დიდ უმადურობას მოცურავეები იჩენენ. ისინი, ჩვეულებრივ, როგორც კი უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებად თავს დაიგულებენ, უმალ ცისფერ ბილიკებს ეთხოვებიან.

მოცურავეები, ვარჯიშის პერიოდშიც კი, რაიმე ხელშესახები მიღწევებით არ გამოირჩევიან, მაგრამ მათ ანგარიშს უწევენ როგორც პერსპექტიულებს. თუმცა, მერე, სტუდენტები რომ ხდებიან, ირკვევა, რომ ისინი სპორტისთვის საიმედო მომავლის მქონე მოცურავეები არ ყოფილან. თურმე ასეთი სპორტსმენების მოსამზადებლად ამაოდ იხარჯება სახსრები. ასეთი მოცურავეები აღმოჩნდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები რ. გუკასოვი, ვ. უტიცკიხი და მ. სპირანდი, რომლებიც აღარ იმსახურებენ, რომ სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე იყვნენ.

აღარც ჩოგბურთელები, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები ა. ნახაპეტიანი და ი. გერაძე ვარჯიშობენ ჩვეული მონდომებით.

ყველა სპორტსმენის ჩამოთვლა, ვინც სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზეა და ვარჯიშს მოუკლო, შორს წაგვიყვანს.

ასეთ კურიოზებს ხელს უწყობს ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელებისა და სპორტის ზოგიერთი მუშაკის ამ საქმისადმი ფორმალური მიდგომა, მათი უპრინციპობა. ისინი ხშირად ასე უპასუხისმგებლოდ იქცევიან მაშინაც, როცა უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხად ამა თუ იმ სპორტსმენს რეკომენდაციას უწევენ და მაშინაც, როცა სტუდენტი-სპორტსმენი, მათივე რჩევით, ინდივიდუალური სწავლების გრაფიკზე გადაჰყავთ.

მომავალში რეკომენდატორები და უმაღლესი სასწავლებლები მეტი სიფრთხილით და პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე გადასაყვან სტუდენტთა შერჩევის საქმეს.

# პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ორგანიზაციებში

პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ვანის რაისაბჭოს სპორტულ დარბაზში გაიმართა საარაიონო პირველობა ფეხბურთში. მასში მონაწილეობა მიიღეს საწარმო-დაწესებულებათა და სოფლის ფიზკულტურული ორგანიზაციების გუნდებმა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ მთისძირისა და ვანის რაიონის ვეტერანთა გუნდები, საინტერესო ბრძოლა მოიგეს მთისძირელმა ფეხბურთელებმა — 4:2.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**
(„ლელოს" კორ.).

* * *

**წყალტუბოში** ჩატარდა პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ორგანიზაციების გუნდური პირველობა ჭადრაკში, რომელშიც თითოეული გუნდის შემადგენლობაში 3 ჭაბუკი და 1 გოგონა გამოდიოდა, ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად ჩატარდა. დაძაბულ ბრძოლაში 18 ქულით და უკეთესი კოეფიციენტის გამო, პირველი ადგილი მიეკუთვნა საგარეჯოს გუნდს. გამარჯვებულთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ ილია კიკილაშვილი, ელენე ფარეშიშვილი, ეკა ტაბატაძე და ნინო ოთიაშვილი.

მეორე ადგილზეა ქუთაისის I გუნდი, მესამეზე — ბათუმელი მოჭადრაკეები.

„ლელოს" კორ.

# საბჭოთა კავშირის თასზე

**სსრ კავშირის** საფეხბურთო თასის გათამაშება ბოლო წლებში ადრინდელისგან განსხვავებული წესით მიმდინარეობს. გათამაშებას იწყებენ I ლიგის გუნდები და II ლიგის ზონებში გამარჯვებულები, შემდგომში, უკვე მეთექვსმეტედფინალური ეტაპიდან, შეჯიბრებაში ებმებიან უმაღლესი ლიგის წარმომადგენლებიც. მეთექვსმეტედფინალში და მერვედფინალში მეტოქეები ორ-ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს, შინ და სტუმრად. მეოთხედფინალიდან თასის გათამაშება გადადის შემდგომი წლისთვის, აქ მეტოქეები უკვე თითოჯერ ხვდებიან ერთმანეთს.

ამჟამად მიმდინარეობს სსრ კავშირის თასის 1987-88 წლების გათამაშება, მეოთხედფინალს შემორჩა 8 გუნდი. გუშინ ხარკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეტალისტი" და ვოლგოგრადის „როტორი" (ვოლგოგრადის გუნდი ერთადერთია, რომელმაც I ლიგის გუნდებიდან მეოთხედფინალს მიაღწია). დღეს დნეპროპეტროვსკში ხვდებიან ადგილობრივი „დნეპრი" და თბილისის „დინამო", მოსკოვში თამაშობენ ადგილობრივი გუნდები „ტორპედო" და „სპარტაკი", ხოლო ვილნიუსის „ჟალგირისი" თავის მინდორზე მიიღებს ბაქოს „ნეფთჩის". ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 18 მაისს, ხოლო ფინალი — 28 მაისს.

თბილისის „დინამომ" შარშან მეთექვსმეტედფინალში შინ ანგარიშით 4:1 დაამარცხა იაროსლავლის „შინიკი", ხოლო იაროსლავლში კვლავ გაიმარჯვა — 2:0. მერვედფინალში თბილისელთა მეტოქე ლენინგრადის „ზენიტი" იყო. მატჩი ლენინგრადში ფრედ დამთავრდა — 0:0, ხოლო თბილისში გაიმარჯვეს დინამოელებმა —1:0.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის სტატისტიკური მონაცემები:

**„სპარტაკი" — „შახტიორი" 2:2 (1:1).** სპარტაკელი შმაროვის გოლის შემდეგ იურჩენკომ ჯერ გაათანაბრა ანგარიში, მერე კოზოზევმა წინ გაიყვანა „შახტიორი", ხოლო ბუბნოვმა 72-ე წუთზე შეძლო თანაფარდობის აღდგენა.

გააფრთხილეს სპარტაკელი ფეხბურთელები მოსტოვოი და ხიდიატულინი.

დუბლიორები — 5:0.

**„კაირატი" — „ტორპედო" 2:1 (1:1).** გამარჯვებულთაგან ორივე ბურთი ვოლგინმა გაიტანა, ხოლო ტორპედოელთაგან — რუდაკოვმა.

დუბლიორები — 0:2.

**„დინამო" (კიევი) — „მეტალისტი" 3:0 (2:0).** გოლები: ბელანოვი, პროტასოვი, ლიტოვჩენკო.

გააფრთხილეს კიეველი კუზნეცოვი.

დუბლიორები — 3:3.

**„ჟალგირისი" — „დინამო" (მინსკი) 1:0 (1:0).** ერთადერთი ბურთი მე-13 წუთზე გაიტანა პანკრატიევმა.

დუბლიორები — 3:0.

**„ზენიტი" — „ლოკომოტივი" 3:2 (2:0).** ლენინგრადელთა მიერ გატანილი ორი გოლი (ქელუდკოვი, დმიტრიევი) შესვენების შემდეგ გაქვითეს გორკოვმა და მაზურინმა. ივანოვმა 82-ე წუთზე მესამედ აიღო ლოკომოტიველთა კარი.

დუბლიორები — 1:0.

**„ჩერნომორეცი" — „დნეპრი" 1:3 (1:2).** ანგარიში ოდესელმა ზინჩენკომ გახსნა მე-9 წუთზე. საპასუხო ბურთი გაიტანა შახოვმა (11-მეტრიანი), მერე კი სონმა და კუდრიცკიმ დააწინაურეს „დნეპრი".

გააფრთხილეს დნეპროპეტროვსკელი ჩერედნიკი და ოდესელი პლოსკინა.

დუბლიორები — 2:0.

**„არარატი" — „ნეფთჩი" 0:0.** ეს მატჩი გაიმართა კიშინიოვის სტადიონზე.

● **განვლილი** ტურის 8 მატჩიდან 2 ფრედ დამთავრდა, 5 მოიგეს მასპინძლებმა და მხოლოდ ერთი — სტუმრებმა.

● **პირველი** ჯარგხი იწვნია ლიდერმა — მოსკოვის „ტორპედომ", პირველი გამარჯვება — მოიპოვა ალმა-ათის „კაირატმა". გარდა ამისა, ალმაათელმა ფეხბურთელებმა მხოლოდ ჩემპიონატის მეხუთე მატჩში შეძლეს ბურთის გატანა.

● **ტურის** შეხვედრებში გატანილია 24 ბურთი, აქედან 15 მასპინძლებს ეკუთვნის და 9 — სტუმრებს.

● **ჩემპიონატის** ბომბარდირთა შორის წინ არიან თბილისის დინამოელი გ. გურული და ლენინგრადელი ს. დმიტრიევი, მათ ანგარიშზეა 6-6 გატანილი ბურთი.

● **გათამაშების** დაწყებიდან მსაჯებმა სულ 17 პენალტი დანიშნეს, აქედან 9 მასპინძლების, ხოლო 8 — სტუმრების კარში. რეალიზებული არაა ორი 11-მეტრიანი. თბილისელმა გ. გურულმა ხუთივე პენალტი ზუსტად გამოიყენა.

● **ვილნიუსის** „ჟალგირისმა" წარუმატებელი სტარტის შემდეგ ზედიზედ 3 მატჩი მოიგო.

**გათამაშების ცხრილი**

**დუბლიორთა შემადგენლობა**

**მდგომარეობა 13 აპრილისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" კ. | 5 | 4 | 1 | 0 | 11-6 | 9 |
| „ტორპედო" | 5 | 4 | 0 | 1 | 12-5 | 8 |
| „ჟალგირისი" | 5 | 3 | 2 | 0 | 16-2 | 8 |
| „დინამო" თბ. | 5 | 3 | 1 | 1 | 8-8 | 7 |
| „სპარტაკი" | 5 | 3 | 0 | 2 | 15-8 | 6 |
| „დინამო" მ. | 5 | 3 | 0 | 2 | 9-8 | 6 |
| „ჩერნომორეცი" | 5 | 2 | 1 | 2 | 4-4 | 5 |
| „ზენიტი" | 5 | 2 | 1 | 2 | 4-7 | 5 |
| „ლოკომოტივი" | 4 | 2 | 0 | 2 | 10-4 | 4 |
| „დნეპრი" | 5 | 2 | 0 | 3 | 8-10 | 4 |
| „მეტალისტი" | 5 | 1 | 1 | 3 | 10-9 | 3 |
| „შახტიორი" | 5 | 1 | 1 | 3 | 3-12 | 3 |
| „დინამო" მნ. | 4 | 1 | 0 | 3 | 2-7 | 2 |
| „არარატი" | 3 | 0 | 2 | 1 | 1-6 | 2 |
| „კაირატი" | 5 | 0 | 2 | 3 | 2-11 | 2 |
| „ნეფთჩი" | 3 | 0 | 0 | 3 | 0-8 | 0 |

## I ლიგა

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 13 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პამირი" | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 4 |
| „კოტაიკი" | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 4 |
| ცსკა | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 4 |
| „როსტსელმაში" | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 3 |
| „დინამო" სტ. | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 3 |
| „კოლოსი" | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 3 |
| „ყუბანი" | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 3 |
| „ტავრია" | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 2 |
| „გურია" | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 2 |
| „კუზბასი" | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 2 |
| „როტორი" | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 2 |
| „გეოლოგი" | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 2 |
| „ზვეზდა" | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| „ფახთაქორი" | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| „დაუგავა" | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| „მეტალურგი" | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| „სპარტაკი" | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| „ზარია" | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| ასკ რ. | 2 | 0 | 1 | 1 | 2-6 | 1 |
| „შინიკი" | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| ასკ „კარპატი" | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| „დინამო" ბ. | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

● ფეხბურთი ● ფეხბურთი

# ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია და მისი ყველა პრეზიდენტი

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაცია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი, პოპულარული სპორტული გაერთიანებაა, რომელმაც ალმის ქვეშ ამჟამად 158 სახელმწიფოს მოუყარა თავი. ფიფა ფრანგული აბრევიატურაა, ამ ენაზე იგი სრულად ასე იშიფრება: „ფედერასიონ ინტერნასიონალ დე ფუტბოლ ასოსიასიონ".

მოკლედ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შექმნის შესახებ. იგი ჩამოყალიბდა 1904 წელს, მისი პირველი წევრები იყვნენ საფრანგეთის, ბელგიის, დანიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, შვეციისა და შვეიცარიის საფეხბურთო ასოციაციები, რომლებიც პარიზის დამფუძნებელ კონგრესზე შეიყარნენ და შექმნეს ეს ორგანიზაცია. ფიფა-ს 7 წევრს მომდევნო წელს შეემატნენ ბრიტანეთის ასოციაციები (ინგლისი, შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია, უელსი).

ცალკეულ სახელმწიფოთა გარდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში შედიან რეგიონალური კონფედერაციები: **უეფა** (ევროპა), **კონმებოლი** (სამხრეთ ამერიკა), **კონკაკაფი** (ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები), **აზია, აფრიკა და ოკეანიის ქვეყნები.**

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია ფიფა-ს შემადგენლობაში 1946 წელს შევიდა. ჩვენი ფედერაციის მაშინდელი თავმჯდომარე **ვალენტინ გრანატკინი** აირჩიეს ფიფას-ს პირველ ვიცე-პრეზიდენტად. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ამჟამად არის სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსი **ვიაჩესლავ კოლოსკოვი.**

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის 80-ზე მეტი წლის არსებობის ისტორიაში მისი პრეზიდენტები იყვნენ:

**რ. გერენი** (საფრანგეთი), 1904-06 წლები.

**დ. ვულფოლი** (ინგლისი), 1906-18 წლები.

**ჟ. რიმე** (საფრანგეთი), 1921-54 წლები.

**რ. ზეელდრაიერსი** (ბელგია), 1954-55 წლები.

**ა. დრევრი** (ინგლისი), 1956-61 წლები.

**ს. როუზი** (ინგლისი), 1961-74 წლები.

**ჟ. აველანჟი** (ბრაზილია) — 1974 წლიდან.

ტურნირის ექო — უფრო დაწვრილებით

# გაახალგაზრდავება... შნებლიეთ

ამ რამდენიმე დღის წინ რედაქციაში მივიღეთ ცნობა საქართველოს მესტენდურეთა წარმატების შესახებ კიპროსში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, რომელმაც პირდაპირ სახტად დაგვტოვა. ვიცით რა ქართველ მესტენდურეთა მაღალი კლასი, ჩვენ, ცხადია, მიღწეულ შედეგებს არ გავუკვირვებივართ. გაოცება გამოიწვია ცნობამ: „კიპროსის დიდი პრიზის" გათამაშებაში მე-3 ადგილი დაიკავა ზურაბ მაჩხანელმა". სახელოვანი მესტენდურე კარგა ხანია სარბიელზე აღარ გამოდის, ახლა თვითონ ზრდის სასტენდო სროლის ოსტატებს, არის საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი. მაგრამ ცნობა ავტორიტეტულ საინფორმაციო სააგენტოს ეკუთვნოდა და პრესამ, მათ შორის ჩვენც იგი გაზეთში გამოვაქვეყნეთ.

ყველაფერს ნათელი მოეფინა, როდესაც რედაქციაში გვეწვია ამ შეჯიბრების მონაწილე შოთა თავაძე, რომლის წარმატებაც „მიუკუთვნებიათ" ზურაბ მაჩხანელისთვის. კორესპონდენტს ჩვენი გუნდის ყველა წევრის გვარი ჩაუწერია და უნებლიე შეცდომა მოსვლია... ჩვენ კი შემთხვევით ვისარგებლეთ და ვთხოვეთ შოთა თავაძეს, მოკლედ მოეთხრო „კიპროსის დიდი პრიზის" წლევანდელი გათამაშების შესახებ.

— ჩვენი გუნდის წევრები ამ პრიზის პირველი გათამაშების მონაწილეები ვართ. მაშინ, 1986 წელს, კიპროსში გათამაშებული 12 თასიდან 11 ჩვენ წამოვიღეთ საქართველოში. შარშანდელი შეჯიბრება „გამოვტოვეთ". ამ ორი წლის განმავლობაში „კიპროსის დიდი პრიზის" გათამაშებამ საკმაო ავტორიტეტი მოიხვეჭა მსროლელებში, მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა და, რასაკვირველია, წარმატების მოპოვებაც გაძნელდა. ქალაქ პარალიმნიში სულ 12 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. მათ შორის იყვნენ შვეციის, შვეიცარიის, ინგლისის ძლიერი ნაკრები გუნდები.

მრგვალ სტენდზე სროლაში, როგორც უკვე იცით, თამაზ იმნაიშვილმა გაიმარჯვა. მას ძლიერ კონკურენციას უწევდა ცნობილი შვედი მსროლელი ტორვალდსონი, მაგრამ თამაზმა 216 ქულა მოაგროვა და 3 ქულით ჩამოიტოვა მეტოქე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პარალიმნიში მეტად არახელსაყრელი ამინდი იდგა და მაღალი შედეგის ჩვენება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

ადგილიდან სროლაში პირველ დღეს არჩილ საბედაშვილი დაწინაურდა. მას მართლაც კარგი შედეგი ჰქონდა: 75 გასროლიდან ერთხელ ააცდინა სამიზნეს, მაგრამ მეორე დილით არჩილს სიცხე მისცა და ყველაფერი წყალში ჩაიყარა. სუპერფინალის წინ მეხუთე ვიყავი, შემდეგ მდგომარეობა შედარებით გამოვასწორე და 197 ქულით მესამე ადგილზე გავედი, სამი ქულით მომიგო კიპროსელმა ლურდისმა, ერთით — ინგლისელმა უნდერვუდმა. საბედაშვილი მეშვიდე იყო. შედეგები, როგორც ხედავთ, დაბალია, მაგრამ იმ შტორმულ ქარში, კიდევ ვიმეორებ, მეტის მიღწევა მართლაც ძალზე ძნელი იყო.

გთხოვთ აღნიშნოთ, ის დიდი დახმარება, რომელსაც ჩემი მწვრთნელი ტარიელ ქლენტი მიწევს. მე თვითონ პროფკავშირულ საზოგადოების წევრი ვარ, ორჯონიკიძის რაისურსათვაჭრობაში ვმუშაობ.

# პირველი — მარადონა, მეორე — გულიტი

**როგორ** წარმოუდგენიათ ფეხბურთის ცნობილ ექსპერტებს თანამედროვეობის უძლიერეს მოთამაშეთა პირველი ათეული?! მოვუსმინოთ მათ:

**ენცო ბეარზოტი (იტალიის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი).** 1. ვიალი, 2. მარადონა, 3. ბუტრაგენიო, 4. გულიტი, 5. კარეკა, 6. ლინეკერი, 7. ბერდსლი, 8. ელკიაერი, 9. ვან ბასტენი, 10. სანჩესი.

**მიშელ იდალგო (საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი):** 1. მარადონა, 2. ვიალი, 3. გულიტი, 4. ფუტრე, 5. მიჩელი, 6. ბუტრაგენიო, 7. ბელანოვი, 8. მაჯერი, 9. კარეკა, 10. რეში.

**ფრანც ბეკენბაუერი (გფრ-ის ნაკრების ხელმძღვანელი).** 1. მარადონა. შემდეგ ბეკენბაუერი თანაბარი ძალის ფეხბურთელებად მიიჩნევს ერთბაშად 8 მოთამაშეს: გულიტს, ვიალის, ფიოლერს, ბარნესს, ბუტრაგენიოს, მიჩელს, გალიეგოსა და ლინეკერს.

**კარლოს ალბერტო (ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი).** 1. მარადონა, 2. კარეკა, 3. გულიტი, 4. ფუტრე, 5. სანჩესი, 6. ჟულიო ცეზარი, 7. ვიალი, 8. რობსონი, 9. პფაფი, 10. ლინეკერი.

**სანდრო მაცოლა (იტალიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი).** 1. მარადონა, 2. ფუტრე, 3. ვიალი, 4. ბუტრაგენიო, 5. მიჩელი, 6. გულიტი, 7. კარეკა, 8. რიიკარდი (ჰოლანდია), 9. ბარეზი, 10. ჰაჯი (რუმინეთი).

**რინუს მიხელსი (ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** 1. გულიტი, 2. სანჩესი, 3. მაჯერი, 4. მარადონა, 5. ვან ბასტენი, 6. დასაევი, 7. ბუტრაგენიო, 8. ელკიაერი, 9. ფუტრე, 10. ვიალი.

**იოჰან კრუიფი (ჰოლანდიელი სპეციალისტი):** 1. მარადონა, 2. გულიტი, 3. მაჯერი, 4. ფუტრე, 5. ვან ბასტენი, 6. ტიგანა, 7. შუსტერი, 8. ლარსონი (შვეცია), 9. ბოსმანი (ჰოლანდია), 10. ბუტრაგენიო.

**გრეჰემ სოუნესი („გლაზგო რეინჯერსის" მწვრთნელი).** 1. გულიტი, 2. მარადონა, 3. ფრანჩესკოლი, 4. რეში, 5. ლინეკერი, 6. ბარნესი, 7. სანჩესი, 8. ვალდანო, 9. შუსტერი, 10. ბარეზი.

**ტერი ვენეიბლსი (ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" მწვრთნელი).** 1. მარადონა, 2. გულიტი, 3. ლინეკერი, 4. რეში, 5. ბუტრაგენიო, 6. ფუტრე, 7. ბარნესი, 8. ბერდსლი, 9. სანჩესი, 10. ვიალი.

**იუპ დერვალი (გფრ-ის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი).** 1. მარადონა, 2. გულიტი, 3. ბუტრაგენიო, 4. შუსტერი, 5. ვიალი, 6. ბელანოვი, 7. ჰოდლი, 8. ფრანჩესკოლი, 9. მაჯერი, 10. ლიტბარსკი.

როცა ქულები შეჯამდა, ადგილები მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელებს შორის ასე განაწილდა: 1. მარადონა, 2. გულიტი, 3. ბუტრაგენიო, 4. ფუტრე, 5. ვიალი, 6. კარეკა, 7. მაჯერი, 8. სანჩესი, 9. ლინეკერი, 10. რეში.

**მოამზადა გივი თორელმა.**

**ბელგიის** ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" მეკარეს ჟანმარი პფაფს დასავლეთგერმანულ კლუბთან კონტრაქტის ვადა 1990 წელს უმთავრდება. ამას წინათ 34 წლის პფაფმა განაცხადა, რომ შესაძლოა თურქეთის „ფენერბახჩეში" გადავიდეს.

**შოტლანდიის** იუნიორთა ნაკრების ლიდერმა იან ფერგიუსონმა, რომელიც „სენტ მირენში" თამაშობს, თასის გათამაშების ფინალში „გლაზგო რეინჯერსის" კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა, თავის კლუბს პრესტიჟული პრიზი მოაპოვებინა და... მოწინააღმდეგის კლუბში გადავიდა. გლაზგოელთა მწვრთნელმა გრემ საუნესმა ამ



ფეხბურთელში მილიონი დოლარი გაიღო. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, საუნესს 20 თვის განმავლობაში ფეხბურთელთა შეძენაზე უკვე 6 მილიონი დოლარი აქვს დახარჯული.

**გფრ-ის** „შალკე 04"-ში თამაშობს დანიელი ფეხბურთელი გოლბეკი, ახლახან კი კლუბმა კიდევ ერთი დანიელი შეისყიდა. ეს გახლავთ „ნესტვედის" 20 წლის თავდამსხმელი ალექს ნილსენი.

**არ არის** გამორიცხული, რომ ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ვერონის „ჰელასის" დანიელი თავდამსხმელი პრებენ ელკიაერი სათამაშოდ სამხრეთ ამერიკაში გადავიდეს. საქმე ის გახლავთ, რომ მის კლუბს სურს გადმოიბიროს არგენტინის ნაკრებისა და „რივერ პლეიტის" 20 წლის თავდამსხმელი კლაუდიო კანიჯია. ორივე მხარე თანახმაა გაცვლაზე. თუ ეს მოხდა, ელკიაერი სამხრეთ ამერიკაში მოთამაშე პირველი დანიელი ფეხბურთელი იქნება.

**(ხაქ. ინფორმაცია)**

# რიონისპირა ქალაქში

(დასასრული)

არ ეგონათ, რომ პირველივე ორთაბრძოლა სიცილისა და ხუმრობის ასეთ საზრდოს მისცემდა მათ. თვით ოლიმპიადებსა და მსოფლიო ჩემპიონატებს არ ახსოვთ მსგავსი ფრე. მხარეთა ძალები იმდენად თანაბარი აღმოჩნდა, დაძაბულობა კი იმდენად დიდი, რომ... მაჯისიმსხო ბაგირმა ვერ გაუძლო და გაწყდა! ამგვარად, გადაძალვაში ლიდერი ვერ გამოვლინდა.

სამაგიეროდ, როცა სარბიელი ძალოსნებს დაეთმო — სიმძიმის აწევაში წინ გაიჭრა აფხაზავას გუნდი, მაგრამ კაისას ნორჩმა თაყვანისმცემელმა მარინა ვასილევამ ესტატე ბიძიას გუნდს გადამწყვეტი ქულა შესძინა და ანგარიშში წონასწორობა კვლავ აღდგა.

ამ დროს საჭიდაოს ჰანგებმა სარბიელზე უხმო ქართველ მოჭიდავეებს. ორთაბრძოლებს ქინი და დაძაბულობა არ აკლდა, თუმცა თვით ხალიჩის მეფენი სეკუნდანტების როლს ასრულებდნენ. მათ კვარტლის ღირსების დაცვა თავიანთ უფროს მეზობლებსა და პატარა ფალავნებს მიანდვეს — იქნებ მათ შორის არიან მომავალი ჩემპიონები, რომლებიც სახელოვან კაპიტანთა კარიერას გაიმეორებენ.

კაპიტნები კი ბოლოს კვლავ გამოვიდნენ ხალიჩაზე — უკაცრავად, ფეხბურთის მოედანზე, როცა ეს მიმზიდველი და საინტერესო შეჯიბრება დასასრულს მიუახლოვდა. მათ ფეხბურთელის მაისურები გადაიცვეს. აფხაზავამ მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის წინაშე ბრაზილიური ტექნიკითა და გერდ მიულერის სნაიპერული ალღოთი გამოიჩინა თავი. მისი ზუსტი დარტყმების შედეგად ექვსი ბურთი გაეხვია მეტოქეთა კარის ბადეში, რომელთა მეკარეები მხოლოდ იმით იმშვიდებენ თავს, რომ მათს კარში გააქვს გოლები მსოფლიო ჩემპიონს, რა განსხვავებაა — მოჭიდავეს თუ ფეხბურთელს?

— სადაა თბილისის „დინამოს" მწვრთნელი! — გულმოსულმა წამოიძახა კიდევ ერთმა ყოფილმა მოჭიდავემ — პროფკავშირების საქალაქო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარემ თემურ ერემეიშვილმა, რომელმაც არაფერი დაიშურა, რათა ეს ზეიმი გამართულიყო.

სხვათა შორის, ბავშვებს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ. მათ სამახსოვრო ჯილდოებს გადასცემდა საქართველოს კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, მსოფლიოს ექსჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ სალაძე. ხშირად, როცა ზეიმი ჩაივლის და სადაგი დღეები დადგება, კვლავ გვიჩნდება ყოველდღიური საზრუნავი, გვავიწყდება, რომ კვლავ შეიძლება სასიხარულო ზეიმის გამართვა. ამიტომაც გამორჩეული წამოწყება გაგრძელებასა და მხარდაჭერას ვერ პოვებს ხოლმე.

საბედნიეროდ, ქუთაისში სხვაგვარად მოხდა. ადგილობრივ მაყურებელთა საყვარელმა ტორპედოელმა ფეხბურთელებმა გურამ ნიშნიანიძემ და იუზა ლოსაბერიძემ, რომლებიც თავის დროზე კაპიტნის სამკლაურებს ატარებდნენ, მოჭიდავეთა მსგავსად, მეზობლებთან და მათ შვილებთან ერთად გადაწყვიტეს „მხრებიდან წლების ტვირთი ჩამოებერტყათ".

შეჯიბრების პროგრამა საკმაოდ დატვირთული იყო: ბაგირის გადაძალვა, ბურთის სროლა მიზანში, სიმძიმეების აწევა, კომბინირებული ესტაფეტა. კულმინაციური წერტილი კი, რა თქმა უნდა, ფეხბურთი იყო და ბიჭუნები, რომლებიც ვერ მოესწრნენ ქუთაისის „ტორპედოს" საუკეთესო წლებს, გამოდიოდნენ იმ თვითმყოფადი გუნდის წამყვან ფეხბურთელთა მხარდამხარ.

გაიმარჯვეს ბალახვნელებმა და გურამ ნიშნიანიძემ მილოცვები მიიღო. ცოტა ხნით ადრე კი ტაში იუზა ლოსაბერიძემ დაიმსახურა, ისევე როგორც მაშინ, ოცდასამი წლის წინათ, როცა მან კიევის „დინამოს" კარში ერთადერთი გოლი გაიტანა...

ბალახვნელებთანაც მან გაიტანა ბურთი. განსხვავება ის იყო, რომ სამოცდახუთში, როცა მცველ ლოსაბერიძის გოლმა გამარჯვება მოუტანა ქუთაისელებს, კიეველებმა ოქროს მედლები დაკარგეს, ჩემპიონები კი მოსკოვის ტორპედოელები გახდნენ. ახლა კი მისი გოლი მხოლოდ პრესტიჟული ღირსებისა გახლდათ — 1:5 ასეთი შედეგით დამთავრდა ეს მატჩი.

თუმცა გვერწმუნეთ, რომ გამარჯვებულებმაც და დამარცხებულებმაც კარგი განწყობილებით დატოვეს მინდორი.

— გვიხარია, რომ შევძელით და ისინი, ვისაც დიდი ხანია დაავიწყდა ან საერთოდ არ იცოდა, რა არის შეჯიბრება, სპორტს ვაზიარეთ, — თქვა გ. ნიშნიანიძემ. — ჩვენთვისაც სასარგებლო იყო. რა დასამალია და, ბოლო დროს სიზარმაცე გვიპყრობს. ბავშვები კი ჩვენგან იღებენ მაგალითს! და, მგონი, დღეს შევძელით კარგი მაგალითი გვეჩვენებინა.

— ახლა ჯერი თბილისელებზეა, — თქვა ი. ლოსაბერიძემ. — მიშა, სლავა, გიორგი, რამაზ, სერგო — თქვენს კვარტალებს ვიწვევთ სასაპაროზოდ. ვასიამოვნოთ ბავშვებსა და ჩვენს თავს.

განვიმარტავთ, რომ ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი კაპიტანი მიმართავს თბილისის „დინამოს" სახელო თაობის წარმომადგენლებს — მესხს, მეტრეველს, სიჭინავას, ურუშაძეს, კოტრიკაძეს.

ვინ მიიღებს გამოწვევას?

**დ. ქაქაბაძე,**
**ლ. ტრახტენბერგი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**
**„სოვეტსკი სპორტი".**

12 აპრილი.

**„ლელოს" რედაქციისაგან:** ეს მხიარული, საინტერესო და სასარგებლო შეჯიბრებები საქართველოს პროფკავშირული სპორტსაზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოსა და ჩვენი გაზეთის ქუთაისის საკორესპონდენტო პუნქტის თაოსნობით ჩატარდა. გახსოვთ, ალბათ — ორივე შეჯიბრების შესახებ ჩვენ ადრე უკვე გაუწყეთ, ყველა ჩემპიონს და მათს მეზობლებს მოვუწოდეთ გამოხმაურებოდნენ რიონისპირელთა ინიციატივას. სამწუხაროდ, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გამოწვევის მიღებას არ ჩქარობენ. სწორედ შენიშნავენ „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტები: ხშირად გამორჩეული წამოწყება გაგრძელებასა და მხარდაჭერას ვერ პოვებს ხოლმე. დაგვეთანხმებით, „აგვიყოლიეთ, ჩემპიონებო!" მართლაც გამორჩეული წამოწყებაა, ძნელია მოიძებნოს უფრო სახალისო, მიმზიდველი, მასობრივი და, თუ გნებავთ, დემოკრატიული შეჯიბრება, ასე რომ, ნუ დავახანებთ — „ხელთათმანი ნასროლია".

## სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

რეგბისტთა XXV საკავშირო ჩემპიონატში ჩატარდა სამი ტურის შეხვედრები და სამკვირიანი შესვენება გამოცხადდა. საქართველოს გუნდების ბოლო მატჩების შედეგები უკვე გაუწყეთ, 7-8 აპრილს გამართული სხვა თამაშები კი ასე დამთავრდა: „ზვეზდა" — „ლოკომოტივი" 7:21, „ელექტრომაში" (ტირასპოლი) — სსა 9:20, ასკ — „ფილი" 15:7, „ავიატორი" — „სლავა" 14:9.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 18 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი" (ქუთ.) | 3 | 3 | 0 | 0 | 9 |
| „ლოკომოტივი" (მ.) | 3 | 3 | 0 | 0 | 9 |
| ასკ (ალმა-ათა) | 3 | 2 | 1 | 0 | 8 |
| ეტს (კრასნოიარსკი) | 3 | 2 | 1 | 0 | 8 |
| სსა (მონინო) | 3 | 2 | 0 | 1 | 7 |
| „ავიატორი" (კიევი) | 3 | 2 | 0 | 1 | 7 |
| „ფილი" (მოსკოვი) | 3 | 1 | 0 | 2 | 5 |
| რრკ „ელმავალი" (თბ.) | 3 | 1 | 0 | 2 | 5 |
| „ზვეზდა" (ტაშკენტი) | 3 | 1 | 0 | 2 | 5 |
| „სლავა" (მოსკოვი) | 3 | 0 | 0 | 3 | 3 |
| „ელექტრ." (ტირასპოლი) | 3 | 0 | 0 | 3 | 3 |
| „ელექტრ." (ლენინგრ.) | 3 | 0 | 0 | 3 | 3 |

ჩემპიონატი განახლდება 28 აპრილს. ქუთაისელები კრასნოიარსკის ეტს-ს უმასპინძლებენ, თბილისელები — ლენინგრადის „ელექტრონმაშს".

## სენსაცია არ შედგა

**დაძაბული** ბრძოლებით აღინიშნა ჩოგბურთელთა ყველაზე პოპულარული გუნდური ტურნირის — დევისის თასის ნახევარფინალური შეხვედრები. განსაკუთრებით საინტერესოდ წარიმართა შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენთა მატჩი. მიუხედავად იმისა, რომ შვეციის ნაკრების ღირსებას მსოფლიოს მეორე და მესამე ჩოგბურთელები — მატს ვილანდერი და სტეფან ედბერგი იცავდნენ, გუნდი მარცხს დიდის გაჭირვებით გადაურჩა.

ვილანდერი დამარცხდა ორჯერ. ერთხელ მიროსლავ მეჩირჟთან — 11:13, 3:6, 4:6, მეორედ მილან შრაიბერთან 6:3, 2:6, 4:6, 3:6. ედბერგმა კი ტომაშ შმიდსაც (6:3, 6:4, 6:3) და მეჩირჟსაც (4:6, 6:1, 4:6, 6:4, 9:7) აჯობა. ეს ორთაბრძოლა, სხვათა შორის, თითქმის ოთხ საათს გრძელდებოდა, საბოლოო ჯამში შვეციის ნაკრებმა გაიმარჯვა — 3:2.

ნახევარფინალში შვედები გფრ-ის ჩოგბურთელებს შეხვდებიან, რომელმაც დანიის გუნდი „მშრალი" ანგარიშით — 5:0 დაამარცხა. ასეთივე შედეგი დაფიქსირდა საფრანგეთ-ავსტრალიის შეხვედრაში. გაიმარჯვეს ფრანგებმა (ავსტრალიელთა გუნდში არ გამოდიოდა უიმბლდონის ჩემპიონი პატ კეში). საფრანგეთის ჩოგბურთელები მეორე ნახევარფინალში იუგოსლაველებს შეხვდებიან, რომლებმაც იტალიელებს აჯობეს — 4:1.

საბჭოთა გუნდი თამაშობს ევროპის ზონაში და იბრძვის მსოფლიოს 16 უძლიერეს გუნდში გასასვლელად. მისი მეტოქე იქნება ან რუმინეთი, ან პორტუგალია.

## საბჭოთა ჭაბუკთა გამარჯვება

**დიუსელდორფში** (გფრ) დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნის 10 საკლუბო და ნაკრები გუნდი.

პირველი ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებმა. მან ჯერ ქვეჯგუფში 4 მატჩი მოიგო, შემდეგ ნახევარფინალში დაამარცხა მაინის ფრანკფურტის „აინტრახტი" (3:0), ხოლო ფინალში მოუგო ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს — 1:0.

ჩვენი ჭაბუკი ფეხბურთელები 23 აპრილს კიშინიოვში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს თურქ თანატოლებთან გამართავენ.

## ლიდერი შეიცვალა

**„მსოფლიო თასის"** გათამაშების I ეტაპზე თითქმის პირველი ტურიდან ლიდერობდა ჯონათან სპილმენი და აი, IX ტურში იგი თეთრი ფიგურებით მოულოდნელად დამარცხდა დიულა საქსთან და ერთბაშად სამი მოჭადრაკე „გაუშვა" წინ.

იუგოსლაველ ლიუბომირ ლიუბოევიჩთან შეხვედრაში შავებით ლამაზი გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს ექსჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: პორტიში-ვინანტსი — 1:0, კორჩნოი-სეირავანი — 0:1, ბელიავსკი-ტალი — 1:0, ტიმან-ნოგეირასის, ნან-სალოვის და სოკოლოვ-ანდერსონის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

9 ტურის შემდეგ ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება: კარპოვი — 6 ქულა 9 შესაძლებლიდან, ბელიავსკი — 5,5 (8-დან), სალოვი — 5,5 (9-დან), სპილმენი (ინგლისი), ლ. პორტიში (უნგრეთი) — 5-5 (8-8 შეხვედრიდან).



## ორ მატჩში 93 ქულა

**გასულ შაბათს და კვირას გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები.**

**პირველი ჯგუფი.** ქუთაისელმა კალათბურთელებმა მორიგი ქულები ჩაიწერეს. ამჯერად მათ ბათუმის გუნდი დაამარცხეს. პირველ შეხვედრაში მასპინძლების (ქუთაისელთა) უპირატესობა აშკარა იყო 90:54 (50:28). განმეორებითი მატჩი ბათუმის გუნდმა უკეთ ჩაატარა, თუმცა მაინც დამარცხდა — 63:76 (26:38).

## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

„დინამოს" ახალგაზრდულმა კოლექტივმა ორი შეხვედრა გამართა გორის გუნდთან და ორივეში დამარცხება განიცადა. პირველი ორთაბრძოლა მან დათმო ანგარიშით 94:106 (41:53), მეორე კი — 92:95 (46:56). გორის გუნდში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ღლონტმა, რომელმაც 9 აპრილს თავის კოლექტივს 52 ქულა შესძინა, მეორე დღეს კი — 41.

ტურის ცენტრალური მატჩები უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის გადაიდო.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 10 | 9 | 1 | 857-712 | 19 |
| უნივ. (თბ.) | 8 | 7 | 1 | 809-612 | 15 |
| ფიზ. ინ. (თბ.) | 8 | 6 | 2 | 802-592 | 14 |
| ბათუმი | 10 | 4 | 6 | 699-841 | 14 |
| გორი | 10 | 2 | 8 | 771-899 | 12 |
| „დინ." (თბ.) | 10 | 0 | 10 | 834-1116 | 10 |

**მეორე ჯგუფი.** დაძაბული ბრძოლით აღინიშნა თბილისის „სინათლისა" და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა შეხვედრები. სტუდენტებმა უკეთ ჩაატარეს ორივე მატჩის პირველი ნახევარი და ერთგვარ წარმატებასაც მიაღწიეს (48:44, 41:38). მაგრამ პირველი ნახევრის მოგება კალათბურთში ჯერ კიდევ არ ნიშნავს გამარჯვებას. „სინათლემ" შესვენების შემდეგ შეძლო ინიციატივის ხელში აღება და ძნელ ბრძოლაში მეტად საჭირო გამარჯვებები მოიპოვა: პირველ დღეს ანგარიშით — 97:91, მეორე დღეს — 84:82.

სოხუმის გუნდმა შინ ორჯერ დაამარცხა რუსთავი. პირველ შეხვედრაში მისი უპირატესობა უდავო იყო — 114:87 (62:36), აი, მეორე დღეს კი გამარჯვება მას ერთადერთმა ქულამ მოუტანა — 91:90 (42:40). ეს ქულა გუნდმა შეხვედრის ბოლო წამებზე სულავას ზუსტი სროლის შემდეგ მიიღო.

„მართვე" შინ, საკუთარ მოედანზე შეუდარებლად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე თელავის კოლექტივი. ეს ყველაზე ნათლად ანგარიშიდან ჩანს: 126:48 (60:23) და 133:38 (53:21).

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „სინ." (თბ.) | 10 | 9 | 1 | 1058-921 | 19 |
| სოხუმი | 10 | 7 | 3 | 978-753 | 17 |
| სპი (თბ.) | 8 | 5 | 3 | 838-720 | 13 |
| რუსთავი | 8 | 3 | 5 | 751-736 | 11 |
| თელავი | 10 | 0 | 10 | 697-1128 | 10 |
| „მარ." (თბ.) | 6 | 2 | 4 | 603-476 | 8 |

## კიდევ ორი ტური

**საინტერესოდ** მიმდინარეობს ჭაბუკ კალათბურთელთა რესპუბლიკური ტურნირიც. ლიდერებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს და კიდევ უფრო განიმტკიცეს მდგომარეობა სატურნირო ცხრილში.

**პირველი ჯგუფი.** ქუთაისი — ბათუმი 66:65 (31:37) და 76:59 (39:42). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბათუმელმა კალათბურთელებმა ორივე შეხვედრის პირველი ტაიმი მოიგეს.

ორი გამარჯვება მოიპოვეს უნივერსიტეტის ნორჩმა კალათბურთელებმა — დაამარცხეს ფიზკულტურის ინსტიტუტის თანატოლები ანგარიშით 77:46 (43:30) და 73:50 (30:25).

ჯგუფის ლიდერმა თბილისის „დინამომ" გორში მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა და გაიმარჯვა — 76:65 (41:37).

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (თბ.) | 9 | 9 | 0 | 764-520 | 18 |
| ქუთაისი | 10 | 6 | 4 | 618-607 | 16 |
| ბათუმი | 10 | 5 | 5 | 639-551 | 15 |
| უნივ. (თბ.) | 10 | 4 | 6 | 605-624 | 14 |
| გორი | 9 | 5 | 4 | 517-548 | 14 |
| ფიზ. ინს. (თბ.) | 10 | 0 | 10 | 441-734 | 10 |

**მეორე ჯგუფი.** კვლავ წარმატებით ითამაშეს ლიდერებმა — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და „მართვეს" კალათბურთელებმა. პირველმა დაამარცხა „სინათლე" 69:45 (45:29) და 73:42 (46:31), მეორემ — თელავი 128:27 (61:14) და 111:35 (56:19).

რუსთავის ნორჩმა კალათბურთელებმა სოხუმში მოიგეს — 70:52 (40:15) და 78:47 (37:16).

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სპი (თბ.) | 8 | 7 | 1 | 624-523 | 15 |
| „მართვე" (თბ.) | 8 | 7 | 1 | 736-398 | 15 |
| რუსთავი | 8 | 4 | 4 | 505-493 | 12 |
| „სინათლე" (თბ.) | 8 | 2 | 6 | 456-534 | 10 |
| თელავი | 8 | 2 | 6 | 392-606 | 10 |
| სოხუმი | 4 | 0 | 4 | 169-328 | 4 |

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-14 ტირაჟების შედეგები, რომლებიც 3 აპრილს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 1 704 959 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (36 ბარათი) მოგება 1928 მანეთია, ოთხისთვის (2060) — 37, სამისთვის (36695) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 18 068925 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (49 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (7400) — 126, სამისთვის (219172) — 6.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05289